„იძულებული გავხდი საარჩევნო კომპანია მეწარმოებინა ჩუმად, რათა არ დაზარებულიყვნენ ჩემი მხარდამჭერები“...

გოჩა ძიმისტარიშვილი, ადვოკატი; იყო ქ. ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი, საკრებულოს საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი კენჭს იყრიდა ოზურგეთის მერის თანამდებობაზე. მან ამ არჩევნებში 358 ხმა, 1,02 პროცენტი მიიღო.

— ბატონო გოჩა, რამ განაპირობა არჩევნებზე თქვენი ასეთი დაბალი შედეგი?

—ვფიქრობ, არჩევნების უპრეცედენტო გაყალბება მოხდა, თუმცა არჩევნების გაყალბება მოხდა სხვა რეგიონებშიც, მაგრამ გურულებმა განსაკუთრებულად „ივაჟკაცეს“, მარნეულსა და ახალქალაქთან ერთად, განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოავლინეს „ქართული ოცნების“ მიმართ, რითაც სპატიო ადგილი დაიმკვიდრეს დასახელებულ არჩევნებში.

კონკრეტულად ჩემს შემთხვევაში ნაცემი იქნა ჩემი მხარდამჭერები, ე.წ. „კაი ბიჭები“ აკითხავდნენ ჩემს მხარდამჭერებს სახლებში და ეუბნებოდნენ —„თავი დაანებე გოჩას...“

არაერთი ჩემი მხარადამჭერი მოისყიდეს, ისევე როგორც სხვა ოპოზიციური ძალების მხარდამჭერები. **იძულებული გავხდი საარჩევნო კომპანია მეწარმოებინა ჩუმად, რათა არ დაზარებულიყვნენ ჩემი მხარდამჭერები...**

არჩევნების წინ შემოწირულობების საფუძველზე შევძელი დამემზადებინა ბანერები, პლაკატები, ლოფლეტები; გავსსენი რამდენიმე შტაბი...

—უშუალოდ საარჩევნო დღეს რა ხდებოდა...

—საარჩევნო უბნებთან ე.წ. „ძველი ბიჭები“ იყვნენ მობილიზებული. მათი ავტომობილები პირდაპირ იდგნენ საარჩევნო უბნების ეზოს შესასვლელთან. პოლიციელები საცოდავად უყურებდნენ ამ ყველაფერს. არაერთი ადამიანი შევამჩნიე, რომლებიც საარჩევნო უბნიდან მოშორებით ფულს არიგებდნენ. კომისიებში ხმების დათვლა წარიმართა კანონის დარღვევით, კომისიის წევრების უმრავლესობა იყო მოსყიდული. ხმების დათვლისას, არ იყო დაცული ბიულეტენების სწორი ჩვენება საარჩევნო უბნებში დაყენებულ კამერებთან. იყო გადასწორებული კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმები..

—ასეთი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი საჩივრები უნდა დაფიქსირებულიყო საუბნო-საარჩევნო კომისიების საჩივრების წიგნში და ან საოლქო-საარჩევნო კომისიაში. არასამთავრო ორგანიზაციების საჩივრების საფუძველზე, საოლქო-საარჩევნო კომისიამ გადასწორებულ ოქმებზე იმსჯელა, ადმინისტრაციული სასჯელი დაედო რამდენიმე კომისიის თავმჯდომარეს, მდივანს; ორი უბნის შემთხვევაში, სადაც შესაბამისი შესწორების ოქმები არ იყო წარმოდგენილი გადაითვალეს ბიულეტენები კიდეც, მაგრამ კამერების ხარვეზის თემა არც ერთ საჩივარში არ დაფიქსირებულა...

—საქმე იმაშია, რომ საარჩევნო უბნებში დამონტაჟებული კამერების ჩანაწერების ნახვა საჯარო გახდა არჩევნების პირველი ტურის დამთავრებიდან 5 დღის შემდეგ, როცა არსებული საარჩევნო კანონის მიხედვით საჩივრების შეტანის ვადა ამოწურული იყო...

—გურია ეკონომიკურად ერთ-ერთი ჩამორჩენილი რეგიონია საქართველოში, მაღალია მოსახლეობის მიგრაცია. რა შეიძლება ოზურგეთის მერმა გააკეთოს მუნიციპალიტეტისათვის, დელეგირებული უფლებების ფარგლებში?

—არსებული კანონმდებლობის თანახმად არჩეულ მერებს დიდი უფლებები აქვთ თავიანთ მუნიციპალიტეტებში, რაც მთავრობის მეთაურის უფლებებს შეიძლება გაუთანაბრდეს, უბრალოდ არ ხდება ამ უფლებების სწორად გამოყენება.

მაგალითად, მუნიციპალიტეტის მერია აწარმოებს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, სადაც საქმდება ადამიანები, ქმნის ან აუქმებს მთელ რიგ სამსახურებს, კრეფს ადგილობრივ გადასახადებს და ა.შ. მთავარია, როგორ გამოიყენებს ახლადარჩეული მერი ამ უფლებებს.

ესაუბრა **ნუგზარ ასათიანი**

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 35 (10405) 18 ოქტომბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

შეხვედრა პოლონეთის სოლიდარობის ფონდის წარმომადგენლებთან...

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში **ლევან ჯაფარიძემ,** რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად, „პოლონეთის სოლიდარობის ფონდის“ წარმომადგენლებთან ონლაინ შეხვედრა გამართა.

აღნიშნული ფონდი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოში“ პარტნიორობით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ენერგოეფექტურობის მიმართულებით პროექტის განხორციელებას იწყებს. შეხვედრაზე განხილულ იქნა აღნიშნული პროექტის დეტალები და ასევე, ენერგეტიკისა და კლიმატური ცვლილებების მიმართულებით სამომავლო იდეები და თანამშრომლობის დეტალები; ასევე, ევროკავშირის პროგრამა „მერების შეთანხმება“ ფარგლებში სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობები. „მერების შეთანხმება“ კლიმატური და ენერგეტიკული ამბიციების მქონე

გვ-2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეული დეპუტატები

ადგილობრივ თვითმმართველობის პროპორციული და მაჟორიტარულ ოლქებში არჩეული დეპუტატების სია:

„ქართული ოცნება“ –41

1. **დავით დარჩია;**
2. **გიორგი ღურჯუმელიძე;**
3. **ნინო ჭანიშვილი;**
4. **ლავრენტი ბიგვავა;**
5. **ვლადიმერ ხავთასი;**
6. **ქეთევან ვასაძე;**
7. **გელა ჩავლეშვილი;**
8. **გოჩა კილაძე;**
9. **ნათია გოლიაძე;**
10. **ეროდი გორდელაძე;**
11. **ლევან კილაძე;**
12. **ხათუნა ცერცვაძე;**
13. **გოჩა მდინარაძე;**
14. **ალექსანდრე ღლონტი;**
15. **მარინა ვაშალომიძე;**
16. **ნუგზარ ურუშაძე;**
17. **ქეთევან ხომერიკი;**
18. **ნანა ღაჟონია.**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“–5

1. **დავით მჟავანაძე;**
2. **შალვა თავდიშვილი;**
3. **ირინა თუთბერიძე;**
4. **თორნიკე გოგუაძე;**
5. **ბესო ქათამაძე**

(გაიმარჯვა ნასაკირალის მაჟორიტარულ ოლქში);

6. **თათია ნიკოლაიშვილი;**
7. **გოჩა შილაკაძე;**
8. **ბადრი კილაძე;**
9. **ხათუნა თავდიშვილი;**
10. **გოჩა შარაშენიძე.**

პარტია „გახარია საქართველოსათვის“–25

1. **პეტრე სალუქვაძე;**
2. **ალეკო ბურჭულაძე;**
3. **სოფიკო ქარცივაძე.**

მაჟორიტარები:

ქალაქი ოზურგეთი — **ნინო ნადირაშვილი, დავით მდინარაძე;**

ვაკიჯვარი — ცხემლისხიდი — მთისპირი- **ვახტანგ ნიჟარაძე;**

ლიხაური — მაკვანეთი — ჭანიეთი — **ბექა თოიძე;**

ნასაკირალი— **ბესო ქათამაძე;**

ნატანები — **თამაზ ტულუში;**

თხინვალი — კონჭკათი — მერია — **ტარიელ არაშიძე;**

ურეკი — შრომა —**დავით ჭაკნელიძე;**

ბაილეთი — სილაური — ჯუმათი — **პაატა კილურაძე;**

ბახვი — დვაბზუ — **მარიკა ჩხიკვიშვილი;**

ბოხვაური — შემოქმედი — დაბა გომისმთა **ნუგზარ სარჯველაძე.**

მეორე ტურის გაიმართება:

ქ. ოზურგეთის 60/01 საარჩევნო ოლქი — №25 **გიორგი სირაძე** — 1000 ხმა, 37,76%; **ლელა საჯაია** — 1052 ხმა, 39,73 %;

ლაითური-ნარუჯის №60/06 საარჩევნო ოლქი:

№5 **რაინდი დუმბაძე** –952 ხმა, 38,34%;

№41 **გიორგი ჩაგანავა** –842 ხმა, 33,91%;

გურიანთა-სოფ. ოზურგეთი-მელექედურის №60/11 საარჩევნო ოლქი:

№53 **დათა მიქელაშვილი** –723 ხმა, 27,97%;

№41 **ნინო მახარაძე** –912 ხმა, 35,28%;

ასკანა-ძიმითი —ნაგომარის №60/12 საარჩევნო ოლქი:

№5 **შალვა თავდიშვილი** –474 ხმა, 25,47%;

№41 **ტიტე მგელაძე** –720 ხმა, 38,69 %.

შეგახსენებთ, მეორე ტურის არჩევნები მაჟორიტარულ ოლქებში, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის მერის არჩევნები **30 ოქტომბერს** გაიმართება.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

შეხვედრა პოლონეთის სოლიდარობის ფონდის წარმომადგენლებთან...

მუნიციპალიტეტების ფართომაშტაბიანი ინიციატივაა; იგი მრავალი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლის მიზანია ევროკავშირის კლიმატის და ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანების განხორციელება.

2019 წლიდან პოლონეთის სოლიდარობის ფონდმა რამდენიმე პროექტი განახორციელა გურიის რეგიონში, კერძოდ:

1) „მონაწილეობის აკადემია გურიის რეგიონში“, რომელიც განხორციელდა ის და სოლიდარობის ფონდი საქართველოში ფინანსური მხარდაჭერით;

2) სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესების განხორციელების მხარდაჭერა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - პროექტი „იყავი თანამმართველი“;

3) „ენერგოეფექტურობის გადაწყვეტილებების საპილოტე განხორციელება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“.

დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციისათვის

სახელმწიფო რწმუნებული ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში **გიორგი ურუშაძე,** მოადგილეებთან ერთად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამების ადგილობრივ კოორდინატორ **ნათია კვიციანს** და პროექტის ასისტენტს **პაატა შარაშენიძეს** შეხვდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს ახალ საპილოტე პროექტზე, რომელიც გურიის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სხვა ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით განხორციელდება და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის უზრუნველყოფას და ადგილობრივი თემების გაძლიერებას.

პროექტი – მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება, პილოტური ინიციატივა მიგრანტთა დაბრუნების შერჩეულ თემებში დაფინანსებულია მიგრაციის განვითარების ფონდისა (IDF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

2022 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება 2. 844 მლნ. ლარით იგეგმება

2022 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება 387 მლნ. ლარით იგეგმება. განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, **გიორგი კაკაურიძემ** რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც დეპუტატები 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირვანდელ ვარიანტს გაეცნენ. სხდომაზე გიორგი კაკაურიძემ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა და ყურადღება დაგეგმილ ეკონომიკურ ზრდაზე და მოსალოდნელ შედეგებზე გაამახვილა.

მომხსენებელმა კომიტეტის წევრებს მომავალი წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტის მიმართულებები და მაკროეკონომიკური პარამეტრები გააცნო და აღნიშნა, რომ **2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 4.4% საბიუჯეტო დეფიციტის ზღვარზე დაიგეგმა, 2023 წლისთვის კი აღნიშნული მაჩვენებლის 3%-მდე შემცირება იგეგმება.**

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ინფორმაციით, **2022 წლისთვის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება 2. 844 მლნ. ლარით განისაზღვრა, საიდანაც საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის - 1.862 მლნ. ლარი, რეგიონებისთვის და მუნიციპალიტეტებისთვის - 463 მლნ. ლარი, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის - 380 მლნ. ლარი, მყარი ნარჩენების მართვისთვის - 50 მლნ. ლარი დაიხარჯება.**

სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე და ჩასატარებელ სამუშაოებზე მინისტრის მოადგილემ, **მზია გიორგობიანმა** ისაუბრა. მან კომიტეტის წევრების შეკითხვებსაც უპასუხა, რომლებიც კონკრეტული საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას და დასრულების ვადებს და თვითმმართველობისთვის დაფინანსების გაზრდის საკითხებს შეეხებოდა.

კომიტეტის სხდომაზე დეპუტატების საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილ ფინანსურ ხელშეკრულებებს გაეცნენ და მათ პლენარულ სხდომაზე გატანას მხარი დაუჭირეს.

გურიიდან აშშ-ში სტაჟირებას ოთხი ფინალისტი მასწავლებელი გაივლის

ირმა გორდელაძე



ნადია ქარდავა

მარინა დოლიძე

ანი ნოზაძე

გამოვლინდა ოთხი ფინალისტი პედაგოგი გურიის რეგიონიდან, რომლებიც ორი კვირით სტაჟირებას გაივლიან აშშ ერთ-ერთ უნივერსიტეტში.

ესენია: **ლიხაურის** საჯარო სკოლის პედაგოგები: **ირმა გორდელაძე, ნადია ქარდავა;**

ოზურგეთის მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგი **მარინა დოლიძე; გომის** საჯარო სკოლის პედაგოგი **ანი ნოზაძე.**

გამარჯვებული პედაგოგები მონაწილეობდნენ პროექტში: „სამოქალაქო განათლება და კომპიუტერული ტექნოლოგიები ინგლისური ენის გამოყენებით.“

პროექტს ახორციელებს **International** ამერიკის საელჩოს დაფინანსებით.

მადლობა პროექტს, ჩვენს მეთოდისტებს, მოსწავლეებს! დაგიბრუნდებით ინოვაციებითა და გამოცდილებით სავსე. ეს დიდი სტიმულია ყველა პედაგოგისთვის–ამბობს ლიხაურის სკოლის პედაგოგი ირმა გორდელაძე.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს
კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება



მუნიციპალური ტრანსპორტის როგორ სისტემას შესთავაზებდით ქალაქისა და სოფლების მაცხოვრებლებს? ასევე, დაგვისახელეთ მიახლოებითი ბიუჯეტი, რაც თქვენი გამარჯვების შემთხვევაში, მუნიციპალური ტრანსპორტის სისტემის განვითარებისთვის გამოიყოფა.

თანამედროვე მუნიციპალური ტრანსპორტი ოზურგეთისთვის - ჩვენი 8 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ვგეგმავთ ახალი ავტობუსების შესყიდვას, მოსაცდელების განახლებას და ტაბლოების მონტაჟს ქალაქისა და სოფლების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია კერძო სექტორთან თანამშრომლობა - მუნიციპალური ტრანსპორტის სფეროში საჯარო და კერძო სტრუქტურების კოორდინაციით, - ხარჯთეფექტურობის, უსაფრთხოების და მომსახურების მაღალი სტანდარტი მიიღწევა.
მერია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ტრანსპორტის განახლებისთვის, წიანასწარი გათვლებით 3-5 მილიონ ლარამდე დახარჯავს.

- პირველ ეტაპზე, ქალაქისათვის შეძენილი იქნება ახალი, შშმ. პირებზე ადაპტირებული ავტობუსები, რომლებიც მთლიანად დააკმაყოფილებს ამჟამად არსებულ მოთხოვნებს. შემდეგ ეტაპზე გათვალისწინებული იქნება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დატვირთვის შემცირებით გამოწვეული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებაც.
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ისეთი დასახლებული პუნქტების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, სადაც ამჟამად ტრანსპორტი არ ფუნქციონირებს. ასევე გათვალისწინებული იქნება ისეთი ღონისძიებების გატარება, რითაც მოძრაობის განრიგი და მარშუტები ხელსაყრელი აღმოჩნდება ჩვენი მოქალაქეებისათვის.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს
კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება



თქვენი გამარჯვების შემთხვევაში როდის, რომელი წლისთვის, ექნება ოზურგეთს საკანალიზაციო ქსელი და გამწმენდი ნაგებობა?



საკანალიზაციო სისტემა მუნიციპალიტეტში ძირითადად ამორტიზებულია. ჩვენი 8 პუნქტიანი გეგმა მოიცავს ოზურგეთის ინფრასტრუქტურის განახლებას, რომლის ნაწილიც იქნება საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობების მოწყობა. ეს თავის მხრივ, გარემოს დაცვის და ეკოლოგიის საკითხებთანაც არის კავშირში.
ვინაიდან, საკანალიზაციო სისტემა ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და რთული კომპონენტია, ვადების დასახელება გონივრული იქნება პროექტის შემუშავების შემდეგ. მუშაობას საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის განახლებაზე პირველ წელსვე დავიწყებთ.

- სამწუხაროდ, ქალაქის საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის და რეაბილიტაციის საკითხის გადაწყვეტა, ან სრულყოფილი დაპირების გაცემა დღევანდელი რეალობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების ფარგლებში არცერთ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია, რადგან ქალაქის წყლისა და კანალიზაციის ქსელების ოპერირებას ახდენს ცენტრალიზებული, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული მეწარმე სუბიექტი (შ.პ.ს. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“).
- ჩვენი მოსახლეობის განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით მოვამზადებთ ქალაქის კანალიზაციისა და წყალარინების სრულ საპროექტო დოკუმენტაციას. ამ პროექტის ფარგლებში სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

თქვენი გამარჯვების შემთხვევაში, 2025 წლისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასახლებებით რამდენ პროცენტს ექნება წვდომა სუფთა, სასმელად ვარგის წყალზე? შეგიძლიათ დასახელოთ სოფლები, დასახლებები, სადაც წყალმომარაგების პრობლემას შპირველს ყოვლისა გადაჭრით?

წყალმომარაგების საკითხის მოგვარება ჩვენი 8 პუნქტიანი გეგმის პირველი პრიორიტეტია. სამწუხაროდ, წყალმომარაგების პრობლემები თითქმის ყველა სოფელს და ქალაქის დიდ ნაწილს აწუხებს.

მერია, შრომა, კონჭკათი, ძიმითი, ნატანები - ეს ის სოფლებია, სადაც წყლით მომარაგების პრობლემა მწვავედ დგას და პირველ რიგში გადასაჭრელია, თუმცა, სხვა სოფლებს არანაკლებ აწუხებთ უწყლობა. ქალაქის რიგ უბნებსაც პრობლემა აქვთ ამ კუთხით.

ჩვენი გეგმა ასეთია: 1. წყალმომარაგების ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა სადაც ეს შესაძლებელი და ხარჯთეფექტურია 2. რეზერვუარების აღდგენა წყალსაქაჩი სისტემებით 3. ტექნიკური წყლის რესურსის გამოყენება 4. ჭაბურღილების მოწყობა მარტივი საქაჩი სისტემით. ოთხ წელიწადში ხელმისაწვდომობის პრობლემა ყველა სოფელში უნდა იყოს აღმოფვხრილი.

ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების ფარგლებში მთლიანად დამოკიდებულია მმართველი კომპანიის ეფექტურ მუშაობაზე. რაც შეეხება, იმ სოფლებს, სადაც მერიის მიერ დაფუძნებული წყალმომარაგების კომპანია ოპერირებს, მოეწყობა ახალი საშუალო და მცირე დატვირთვის წყალმომარაგების ქსელები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ისეთ სოფლებს, სადაც წყალმომარაგების ალტერნატიული გზების გამოძებნა პრობლემატურია.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

თქვენი გამარჯვების შემთხვევაში, რომელი იქნება პირველი სამი ნაბიჯი, რასაც გადადგამთ მიუსაფარი ძაღლების პრობლემის მოსაგვარებლად?

მიუსაფარი ძაღლების პრობლემა ოზურგეთში მწვავედ დგას. არაერთი მოქალაქე მოგვმართავს ამასთან დაკავშირებით. ახალგაზრდებმა სოციალური მედიით წამოიწყეს კამპანია №როისმეგობრები რომელსაც გამოვეხმაურე, რადგან გვაქვს გეგმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ჩვენ ვგეგმავთ გურიის რეგიონში, მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინაციით, უპატრონო ძაღლებისთვის თანამედროვე სერვისის და შელტერის მოწყობას; ცხელი ხაზის ამუშავებას; ახალი რეგულაციების მიღებას თვითმმართველობის დონეზე, რომელიც ძაღლების მიტოვების საკითხს პასუხისმგებლიანად დაარეგულირებს; ძაღლების აყვანისა და მოვლის წახალისებას და სხვა ინიციატივებს, რომელიც პრობლემას კომპლექსურად დაარეგულირებს.

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პრობლემის მოგვარების პირველ ეტაპზე მოხდება მათი აღრიცხვა და იდენტიფიკაცია ელექტრონული ჩიპების დახმარებით. ინფორმაცია ყველა უპატრონო ძაღლის შესახებ განთავსდება ელექტრონულ პლატფორმაზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის. პარალელურად, მოხდება სტერილიზაცია-კასტრაცია, ასევე ვაქცინაცია. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში მოხდება დამატებითი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, მუნიციპალური თავშესაფრის მოწყობა.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

გამარჯვების შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი სტრატეგია საშუალო მნიშვნელობის გზების მოწესრიგების მიმართულებით. რა იქნება თქვენთვის პრიორიტეტული საკითხი საგზაო მოძრაობის მოწესრიგების თვალსაზრისით?

ვთვლით, რომ ინფრასტრუქტურული ხარჯები არაპროპორციულად იყო განაწილებული და სუბიექტურად დაგეგმილი. ასევე, პრობლემას წარმოადგენდა ახალი გზების მოვლა პატრონობა. ხშირად მათი დაგების შემდეგ, ხდებოდა მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც გზების განმეორებით დაგების აუცილებლობას იწვევდა. ცენტრალური და შიდა გზების მოწყობა ჩვენი პრიორიტეტი იქნება, თუმცა მისი განხორციელება საჭიროებებზე მორგებულად, სამართლიანად და თანაბრად მოხდება. თითოეული პროექტი დასაბუთებული იქნება სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული არგუმენტებით. საგზაო მოძრაობის მოსაწესრიგებლად დამატებითი ინფრასტრუქტურის განვითარება მოხდება ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ავტოსაგზაო შემთხვევები და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნას დაცული. მზარდი მნიშვნელობის საკითხია მოტოტრანსპორტი და ველოსიპედებისთვის საჭირო ბილიკები ქალაქში, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ.

ქალაქ ოზურგეთში, გენერალური გეგმის ფარგლებში შეიქმნება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დეტალური გეგმა, კეთილმოეწყობა ქუჩები და ტროტუარები. შეიქმნება ველო და ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე, შშმ. პირთათვის ადაპტირებული გარემო.
სოფლებში კვლავ გაგრძელდება ახალი გზების მშენებლობა, უპირატესობა მიენიჭება დასახლებულ პუნქტებს შორის დამაკავშირებელ გზებს, გადაწყვეტილების მიღების დროს მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იქნება მომხმარებელთა რაოდენობა.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

რას ნიშნავს თქვენთვის გენ. გეგმა? თქვენი გამარჯვების შემთხვევაში რა ნაბიჯებს გადადგამდით რომ ქ.ოზურგეთს ჰქონდეს გენერალური გეგმა?

გენერალური გეგმის გარეშე, ქალაქის მდგრადი განვითარება წარმოუდგენელია. ჩვენი ამოცანა იქნება მომზადდეს და დამტკიცდეს ქალაქის ახალი გენერალური გეგმა.

ქალაქ ოზურგეთში, გენერალური გეგმის ფარგლებში შეიქმნება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დეტალური გეგმა, კეთილმოეწყობა ქუჩები და ტროტუარები. შეიქმნება ველო და ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე, შშმ. პირთათვის ადაპტირებული გარემო.
სოფლებში კვლავ გაგრძელდება ახალი გზების მშენებლობა, უპირატესობა მიენიჭება დასახლებულ პუნქტებს შორის დამაკავშირებელ გზებს, გადაწყვეტილების მიღების დროს მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იქნება მომხმარებელთა რაოდენობა.

7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს

კითხვები მომზადებულია პროექტის "ინფორმირებული არჩევანი" ფარგლებში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით ხორციელდება

რამდენი პარკის, სკვერის, სპორტული მოედნის, ახალგაზრდული სივრცის, კულტურული ცენტრის, ბიბლიოთეკის ან სხვა მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობას ან რეაბილიტაციას გეგმავთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში?

ამ მხრივ გვაქვს ძალიან საინტერესო კონცეფცია და პროექტი, რომლის მიხედვითაც მოხდება სპორტული და სარეკრეაციო სივრცეების განვითარება ქალაქის სხვადასხვა უბანსა და სოფლების ცენტრებში. ეს პროექტი ყველა ასაკის მოქალაქეზე იქნება გათვლილი და ჩვენს მუნიციპალიტეტში ცხოვრებას უფრო კომფორტულს გახდის. სპორტი და რეკრეაცია ყველასათვის - ეს არის ჩვენი მიზანი.

თუ რამდენი პარკის, სკვერის, სპორტული მოედნის, ახალგაზრდული სივრცის, კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკის ან სხვა მსგავსი ინფრასტრუქტურის მოწყობა ან რეაბილიტაცია მოხდება ოთხი წლის განმავლობაში წინასწარ მიახლოებითი დაგეგმვა ძალიან რთულია. მსგავსი პრობლემების მაქსიმალურად გადასაჭრელად ვგეგმავთ გავაფართოვოთ მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები და ახალი ინსტრუმენტების გამოყენებით მოვახდინოთ მსგავსი სახის პრობლემების გადაჭრა.

მილოცვები

ზურაბ ფასიეშვილს
გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს შენს ახლობლებთან ერთად!
ლილი, ნანა, თეონა, სოფო, კობა, ვანო, ზუკა.

ვანო ჯაველიძეს
გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოგაკლოს თქვენ და თქვენს ოჯახს!
ლილი, ნანა, თეონა, სოფო, კობა, ზურაბი, ზუკა.

ოზურგეთის თოჯინების თეატრი ახალ სეზონს ხსნის

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი 24 ოქტომბერს 46-ე თეატრალურ სეზონს გახსნის.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის **ლაშა კუტალაძის** თქმით, დასი ინტენსიურად ემზადება ახალი სეზონისთვის და მრავალფეროვანი წარმოდგენებით ნორჩ მაყურებელს გაახარებს:

*„ინტენსიურად ვემზადებით ახალი სეზონისთვის. რეპეტიციებმა უკვე მაგიდიდან დარბაზში გადაინაცვლა. ორ სპექტაკლს ვამზადებთ ერთდროულად: პირველი – **„ატმის კურკის საიდუმლოება“**, პიესის ავტორი ნ, ოსიპოვა, რეჟისორი - ო. კუტალაძე და მეორე – **„ძია ჯამბაზი და წრუწუნა მიციტი“**, პიესის ავტორი მ. ჩეპოვეცკი, რეჟისორი ვახტანგ გივინეიშვილი. ამ სპექტაკლებიდან ერთ-ერთით გავხსნით ახალ სეზონს. სამწუხაროდ, ისევ ძველ დარბაზში, რომელიც, გარდა იმისა, რომ მაყურებელს ვერ იტევს, სხვა ელემენტალური პირობებითაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე თოჯინების თეატრის მოთხოვნებს“.*

ოზურგეთის თოჯინების თეატრის დასი მთლიანად ახალგაზრდულია, 12-ვე მსახიობი ჩართულია სამსახიობო საქმიანობაში. სპექტაკლები ყოველ კვირა დღეს გაიმართება.

როგორც ლაშა კუტალაძემ გვითხრა, პანდემიის გამო, წლეულს ქობულეთში ვერ ჩატარდა თოჯინების თეატრის ფესტივალი, რომელშიც ოზურგეთის თოჯინების თეატრი სისტემატურად მონაწილეობს:

„ქვეყანაში შექმნილი რთული პანდემიური სიტუაციის გამო, ქობულეთში ვერ ჩატარდა თოჯინების თეატრის საერთაშორისო ფესტივალი. გახსოვთ, ალბათ, შარშან ჩვენმა თეატრმა ამ პრესტიჟული ფესტივალის გრან პრი დაიმსახურა. იმედია, მომავალ წლისთვის პანდემია აღარ შეგვაწუხებს, გასტროლებსაც მოვაწყობთ და ფესტივალშიც მივიღებთ მონაწილეობას.“

წარმატებული ახალი სეზონი ოზურგეთელი ნორჩი მაყურებლების საყვარელ თეატრს.

თვალსაზრისი

გაიღვიძოს მძინარე ქვეყანამ!

მიხეილ საკაშვილს ისე არ ვიცნობ, როგორც თავის დროზე არ ვიცნობდი ზვიად გამსახურდიას, მაგრამ ზვიადის უმოწყალოდ გაგდებამ საქართველოდან, შემდეგ მისმა დაბრუნებამ და ტრაგიკულმა აღსასრულმა ისე მომიკლა გული, დამრჩა განცდა, რომ

დიდი საქართველოს ჩვენება დამთავრდა!..

ისევ დადგა ის გაბოროტებული 90-იანი წლები, ორად გახლეჩილი საქართველო, ზიზღი, ქილიკი, ცინიზმი...

9 წელია თავებს ითვლით მიტინგებზე, ერთხელ ამ ხალხის გროშებიც დაგეთვალათ...

ვეკითხები მთავრობას – რისთვის ავიცრათ? – ჩვენ მხოლოდ რომ ვიარსებოთ და თქვენ მუდამ იცხოვროთ?!..

მოვა მიშა! მოვა მიშა! აჰა, მოვიდა თავისი ფეხით. ამ კაცმა ისურვა მიმსგავსებოდა ზვიადს. თქვე ვის გინდათ მიემსგავსოთ?!

როგორ ფიქრობთ, ქვეყანა, სადაც დგას სვეტიცხოველი, ასვენია ქრისტეს კვართი ქუჩის პოლიტიკოსებით უნდა იმართებოდეს?!

მოსვლის დღიდან „ქართულმა ოცნებამ“ ფოკუსი გააკეთა არა მომავალზე, არამედ წარსულზე, რომ კომფორტულად ეგრძნო თავი. ახლა კი ეს გაწბილებული ხალხი მოუბრუნდა და პატარა კატოსავით (კინოფილმი „ქაჯანა“) ეძახის:

წაადით, წაადით, წაადით!..

რომ გაიღვიძოს მძინარე ქვეყანამ, იჩქრიალოს, იხმაუროს თერგივით და ცივი, უკარება მყინვარი დაგვყურებდეს ზემოდან...

ოლიკო კობალავა-ჩხაიძე.

საქართველო 1905-1907 წლებში



რევოლუციური გამოსვლები ჯარში

გენერალი შირინკინი მეფისნაცვალს ასევე მოახსენებდა, რომ სოციალ-დემოკრატები მოკვლას უპირებდნენ ორთქლმავლის მემანქანეს, რომელმაც, გაფიცვის მიუხედავად, ხელისუფლების მოთხოვნა დაკმაყოფილა და მატარებელი თბილისიდან ბათუმისაკენ დაძრა;

8. 1906 წლის 25 ივნისს გაზეთ „ახალ ცხოვრებაში" გამოქვეყნდა ცნობა, რომ სამეგრელოს ქვეითთა პოლკის 27 ჯარისკაცის სამართალში მიცემის პროტესტის ნიშნად თბილისში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაიწყო;

9. 1907 წლის 9 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს, ბაქოს ქალაქის თავს, სოხუმის ოკრუგის უფროსს, ზაქათალის ოკრუგის უფროსს, გუბერნიების ჟანდარმერიების სამმართველოების უფროსებს. მეფისნაცვალი ზემოთ ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს ავალებდა სამხედრო ნაწილებში აგიტაციის მიზნით შეგზავნილები დაეპატიმრებინათ და ყოველი ღონე ეხმარათ სამხედრო ნაწილებში რევოლუციური პროპაგანდის აღკვეთის მიზნით. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯარში რევოლუციური პროპაგანდა ვერ აღკვეთეს. 1907 წლის 12 სექტემბერს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ლორეს 264-ე ქვეითთა პოლკის ჯარისკაცთა მიმართ, რომლებიც რევოლუციური პროპაგანდის ბრალდებით იყვნენ დაპატიმრებულები. ეს ჯარისკაცები იყვნენ: **კისელიოვი, შაიდიბინი, მიხნენკო, ფრაიმოვიჩი, მოხნო**, პოლკის მწერლის თანაშემწე **შევლიაკოვი**. რევოლუციური პროპაგანდისათვის აგრეთვე დააპატიმრეს უნტერ-ოფიცერი **გრიციკინი.** 1907 წლის 5 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ კავკასიის სამეფისნაცვლოს საპოლიციო ნაწილის განსაკუთრებულ განყოფილებას აცნობა, რომ თენგინის 77-ე ქვეითთა პოლკში რევოლუციური პროპაგანდა წარმოებდა.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილებში რევოლუციური პროპაგანდის წარმოების მიუხედავად, ფართო მასშტაბიანი გამოსვლები არ მომხდარა, გამონაკლისს წარმოადგენდა ქალაქ ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცთა მღელვარება.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი 3, გვ.367

სკანვორდი



პასუხები:

ანიქსენი: ხეიბარი; ალფაბეტი; სტერეოტიპი; ბრიტანელი ავადმყოფი; ბრიტანეთი; ალბერტ ეინშტაინი; ფიზიკოსი; ალბერტ; ალბერტინა; ალბერტ; ალ ბალი; ალბერ; ალ; ბალი; ალ; ალ; ალ

„ერისიონმა“ ჩვენი ქალაქი აზეიმა

გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ **„ერისიონის“** კონცერტი გაიმართა. (სამხატვრო ხელმძღვანელი **შერმანდილ ჭკუასელი**,მთავარი ქორეოგრაფი **ეკა ჭკუასელი)**. ეს იყო საღამო, რომელმაც შეცვალა ჩვეული რუტინა, და ჩვენი ქალაქი ზეიმად გადააქცია. ეს იყო დინამიური და მრავალფეროვანი სპექტაკლი თავისი რიტმით, ხალისით, სიყვარულით...

მესამე საუკუნეში გადაბიჯებული „ერისიონი“ ის ანსამბლია, რომელიც ტრადიციული, ქართული სულით გაჟღენთილი, სადაც მიდის, მიაქვს უკვდავება, სიამაყე, რიტმი, ჟღერადობა.

მსოფლიოს რამდენიმე მუსიკალურ შედევრთან ერთად **NASA**-ს მიერ კოსმოსში გაგზავნილი „ჩაკრულო“ ანსამბლის შთაგონების შედეგია. ათასწლეულებში გამოტარებული და გამობრძმედილია ხალხური პროფესიული ხელოვნების ნიმუშები: ორპირული გუნდები, საფერხულო, სარიტუალო, საზეიმო და ა.შ.

დამერწმუნეთ, ვინც გასულ ხუთშაბათს „ერისონის“ კონცერტს დაესწრო, ყველას სახეზე „ჭიანჭველები“ დაურბოდა, ემოციისაგან ნეტარებდა. იმ მომენტში ყველა გასაჭირი, წუხილი თუ უიმედობა დავიწყებოდა და მხოლოდ აქ, ამ კონცერტზე ეამაყებოდა ქართველობის, ოზურგეთელობის, კაცურკაცობის.

აბა როგორ არ უნდა გენახა და არ გაგხარებოდა, როცა ცეკვავს შენი ოზურგეთელი **სერგო გოლიაძე,** ოსური მელოდიის თანხლებით, შავისა და თეთრის რიტმულ მონაცვლეობასა და გრაფიკულ მონახაზზე შესრულე-ბული ცეკვას „სიმდი“, რომელიც ზუსტ და სარკისებურ სიმეტრიას ეფუძნება, ბრწყინვალე სოლოს ასრულებს, სცენაზე დახვეწილი კლასიკური სისადავისა და ჰარმონიის ზეიმი წარმოადგინეს.

„ბრავო, ბის“—იმოდა ნომრის დასრულების შემდეგ დარბაზში შეძახილები.

სერგო ქვილორია არის საამაყო ქორეოგრაფის, ჯუმბერ დუნდუას აღზრდილი, მისი ნამოწაფარი! ერთხელ კიდევ რომ გააბრწყინა დიდი ქორეოგრაფის დიდებული სახელი. იგი 10 წელზე მეტია ამ სახელოვანი ანსამბლის წარმატების თანაზიარია.

იუბილარი

ნოდარ დონაძე – 85

გალაქტიონ ღლონტი და ნოდარ დონაძე

ჩვენი მეგობარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ცნობილი ფოლკლორისტი და კარგი პოეტი, ბატონი **ნოდარ დონაძე** იუბილარია, იგი ზეგ, 85 წლისა გახდება.

ნოდარ არტემის ძე დონაძე დაიბადა 1936 წლის 20 ოქტომბერს, ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ მშვენიერ სოფელ თხინვალში.

დედა – თინათინ ჭანუყვაძე პროფესიით მასწავლებელი იყო, მამა – არტემი კი ეკუთვნოდა იმ ჭეშმარიტ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მოკრძალებული შემოქმედებით ამდიდრებდნენ ქართულ ხალხურ პოეზიას და მუსიკას.

ნოდარმა საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1960 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი. 1962 წელს პირველი სამსახური დაიწყო მშობლიური სოფლის – თხინვალის რვაწლიან სკოლაში (ამჟამად საჯარო სკოლა) მუსიკა-სიმღერის მასწავლებლად, სადაც თითქმის სამოცი წელი გაატარა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. მოღვაწეობის პერიოდში არაერთი დიპლომი, ქების სიგელი და მადლობები აქვს მიღებული. პარალელურად მუშაობდა სოფლის კლუბის გამგედ. მომღერალთა საკოლმეურნეო გუნდის ხელმძღვანელად.

ბატონ ნოდარს ჰყავს მეუღლე – **დოდო როყვა,** შვილები – **თინათინი, თამარი, ნუგზარი,** ექვსი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი **გიგი ჭინჭარაული.**

როცა ადამიანი სხვის სიკეთეებს იგებს და აფასებს, სხვის ნამღერს უსმენს, სხვის ნაწერს კითხულობს, თავადაც უჩნდება მსგავსი სიკეთის კეთების სურვილი და ჟინი. ეს მსგავსი საქმე სწორედ ის გაზაფხულია, მერმისში რომ მივყავართ; ის გაზაფხულია, ადამიანს არსებობას რომ უკეთილშობილებს და უხანგრძლივებს. ამ ჟინმა და სურვილმა დააწერინა ნოდარს რამდენიმე წიგნი: **„მოგონებები“, „მიძღვნა“, „თხინვალი და თხინვალელები“** (გიორგი კეჭაღმაძესთან ერთად), **„ჩემი პოეზია – სულის სიმფონია“, „იმ-ედი – სულის ჯავარი“, „მასწავლებელი – ხალხის, ქვეყნის დიდება“,** განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაშრომი „თხინვალი და თხინვალელები“, რომელიც სოფელში სამაგიდო წიგნად იქცა. იგი პირვ-ელი წიგნია სოფელ თხინვალის ისტორიის შესახებ. ბატონმა ნოდარმა მისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობით და შრომისმოყვარეობით შეაგროვა საკმაოდ დიდი მასალა, პირადად შეიცნო და შეისწავლა არაერთხელ შეცნობილი და შესწავლილი თავის მშობლიურ და საყვარელ სოფელში. ამ წიგნის ანალოგი ყველა სოფელში უნდა შეიქმნას, რათა იცოდნენ საიდან მოდიან და ვისი გორისანი არიან.

და ბოლოს, ვამზეურებთ ბატონი ნოდარისადმი მიძღვნილ დიდებულ პიროვნებათა სიტყვებს: ბატონი იური სიხარულიძე – „კაცი ხარ, ქრისტეს ნათლით მოსილი კაცობასა და ნიჭზე მლოცველი“; ბატონი გალაქტიონ ღლონტი – „ქართული ჰანგის ჩქერია ნოდარ დონაძის ოჯახი“.

ვულოცავთ ბატონ ნოდარს მწიფე იუბილეს, ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ვუსურვებთ.

„ალიონელები“.

დღეს სულ სხვაა ჩემი თხინვალი

წინათ გაუვალ ტყეთა საფარი,
ნადირ-ფრინველთა თავშესაფარი.
უგზო-უკვალო, ძნელად სავალი,
ასეთი ახსოვთ ახალსაყდარი.

გურულმა გლეხმა ბარდი გაკაფა,
სადაც ყმუოდა მგელი და ტურა,
დარგო ვენახი, თხილი, ციტრუსი
და გააშენა ჩაის კულტურა.

თხილმა დაფარა მთელი სოფელი
და გადაიქცა, როგორც თხილნარი,
იქედან მოდის მისი სახელი,
უსაყვარლესი სიტყვა „თხინვალი“.

მე ამ პატარა სოფლის შვილი ვარ,
ასევე ჩემი მამა-პაპანიც,
აქვე დაირწა სოფლის ღირსეულ
და გამორჩეულ შვილთა აკვანი.

მას შემდეგ დიდი დროა გასული.
დღეს ბაღნარია ჩემი სოფელი,
მოგონებადღა დარჩა წარსული,
მომავლისაგან ლხენას მოველით.

დღეს სულ სხვა არის ჩემი თხინვალი,
აყვავებული, როგორც ედემი.
მე მის მშობლიურ, წმინდა სიყვარულს
და მის დიდებას შევაბერდები.

ბაღად ქცეულა გულუხვი მიწა,
ხალხი ხალასი, ხელმარჯვე, თბილი.
თავდავიწყებით ვუმღერ და ვფიცავ,
ვით მშობელ დედას თავისი შვილი.

ნოდარ დონაძე.

7 დღის ამინდის პროგნოზი

თარიღი	დღე	ამინდი	ტემპერატურა
18 ოქტომბერი	ორშაბათი	ელ-ჭექი	+15+16
12 ოქტომბერი	სამშაბათი	ელ-ჭექი	+10+14
13 ოქტომბერი	ოთხშაბათი	წვიმა	+10+14
14 ოქტომბერი	ხუთშაბათი	მზე, ღრუბელი	+8+14
15 ოქტომბერი	პარასკევი	მზე, ღრუბელი	+7+20
16 ოქტომბერი	შაბათი	მზე, ღრუბელი	+13+20
17 ოქტომბერი	კვირა	მზე, ღრუბელი	+12+16